

**მთიანი რეგიონების მოსახლეობის დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ (მესტიის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)**

**თამარ ხუნწელია**

ელ. ფოსტა: [Tamar.khuntselia108@ens.tsu.edu.ge](mailto:Tamar.khuntselia108@ens.tsu.edu.ge)

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

მთის ეკოსისტემებს უდიდესი როლი გააჩნია გლობალური თუ რეგიონალური განვითარებისათვის, ვინაიდან მთიანი რეგიონები წარმოადგენს სასმელი წყლის, ბიომრავალფეროვნების და ჰიდროენერგეტიკის დიდ წყაროს. მთის ეკოსისტემები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი განვითარებისათვის, სიღარიბის დაძლევის და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისათვის. ამგვარად, მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება მსოფლიო პრიორიტეტია.

საქართველო წარმოადგენს ისეთი ქვეყნის კლასიკურ მაგალითს, სადაც მთიანი რეგიონები ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, ამისი ნათელი მაგალითია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის 70%-ზე მეტი სწორედ მთის ლანდშაფტებს უკავიათ, რაც განაპირობებს მთიანი რეგიონების წვლილსა და მნიშვნელობას ქვეყნის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მოსახლეობის მოთხოვნილებების უშუალო გათვალისწინება განვითარების გეგმის შედგენისას.

ნაშრომის შესრულების მიზანია საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მთიანი რეგიონის - მესტიის მუნიციპალიტეტის, ზემო სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა/წარმოჩენა ეკოლოგიური პრობლემების მიმართ რეგიონის განვითარების კონტექსტში.

მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი მუნიციპალიტეტია, რომლის მოსახლეობა თუ გავითვალისწინებთ მის ფართობს, ერთობ მცირეა. აქ მიმდინარეობს რეგიონის სწრაფი განვითარება ტურისტული თვალსაზრისით, ფართოვდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა. განისაზღვრა გამოსაკითხ რესპონდენტთა რაოდენობა, რესპოდენტთა შერჩევისათვის გამოყენებული იქნა შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. ანკეტური გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებული იქნა SPSS პაკეტი.

კვლევის შედეგად დადგინდა მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემები. პრობლემების სივრცითი განაწილების თავისებურების შესწავლის მიზნით შედგა შესაბამისი რუკები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით და მოსახლეობის მოსაზრებები გაანალიზდა მათი საარსებო გარემოს თავისებურებების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და რეგიონში მზარდი ტურიზმის გათვალისწინებით.

მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის ასევე მსოფლიოსათვის როგორც ერთ-ერთი მაგალითი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებისა.